

**საქართველოს კანონი
„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ,, საქართველოს
კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე”**

მუხლი 1. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N9, 31.03.2007, მუხ. 87) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

1. კანონის 36 –ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„მუხლი 36. გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება

1. გაკოტრების საქმის წარმოება იწყება მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად სასამართლოს მიერ გაკოტრების შესახებ გამოტანილი განჩინების გამოქვეყნებიდან, გარდა ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. სასამართლოს განჩინება გაკოტრების შესახებ ქვეყნდება ამ კანონით დადგენილი წესით.

2. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული სუბიექტების შემთხვევაში გაკოტრების საქმის წარმოება იწყება სასამართლოს მიერ გაკოტრების შესახებ გამოტანილი განჩინების საფუძველზე მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების რეგისტრაციის მომენტიდან.

3. გაკოტრების საქმის წარმოება დაიწყება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას ამ კანონის მე-17 მუხლით დადგენილი წესით”.

2. კანონის 44–ე მუხლს დაემატოს 2¹ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2¹. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული სუბიექტების რეაბილიტაციის პროცესი იწყება სასამართლოს განჩინებით დამტკიცებული კრედიტორთა გადაწყვეტილების საფუძველზე მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეაბილიტაციის საქმის წარმოების დაწყების რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი